მოსკოვი - ტფილისი

30 მაისს “დინამოს” სტადიონზე უამრავი მაყურებლების თანდასწრებით მეტად საინტერესო მატჩი ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “სტალინეცისა” და ტფილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდები.

”დინამო” თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ანიკინი, გაგუა, ასლამაზოვი, პანინი, სომოვი, ძმ. ბერძენიშვილები და აბაშიძე.

თამაში მოსკოველთა ინიციატივით დაიწყო, მათ ახასიათებთ თამაშის სწრაფი ტემპი და გადაცემის ლამაზი კომბინაციები, მთელი ტაიმის განმავლობაში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. თამაშის პირველი ტაიმი მთავრდება: 0:0.

მთელი მეორე ტაიმი ტფილისელთა თავდასხმებით მიმდინარეობდა, ხშირი იყო სახიფათო მომენტები მოსკოვის კარებთან, მაგრამ ტფილისელებს არ ახასიათებთ ბურთის კარებში ზუსტი დარტყმა, რის შედეგადაც ბურთი “ჰაუტში” ტრიალებდა. მატჩის დასასრულს, ყოველთვის მეტად საინტერესო ხდება თამაში, ამ დღესაც ასე მოხდა. თამაშის უკანასკნელ წუთებში ტფილისმა მოიკრიბა ძალ-ღონე და ძლიერად “შეუტია” მოსკოველებს. ანიკინის მიერ ლამაზად მოწოდებულ ბურთს მეტად მოხერხებულად იყენებენ ტფილისელები, თაურის მაგარი დარტყმით ბურთი პირველად ეხვევა მოსკოვის ბადეში.

თამაში ძლიერდება. ბურთი მეტად სწრაფად ტრიალებს მოთამაშეთა ფეხებში, მოსკოველები არ იბნევიან და მაგარი “შუტით” საპასუხო ბურთს აგზავნიან ტფილისელების კარებში.

თამაშის დამთავრება უკანასკნელი წუთების მიხედვით მოსალოდნელი იყო ტფილისელთა გამარჯვებით, მაგრამ ტფილისი გათამამდა მოპოებული გამარჯვებით და მთელი კოლექტივი მოსკოველთა მოედანზე გადავიდა, რის დროსაც ისარგებლეს მოსკოველებმა და ტფილისელ მცველების მზადარყოფნა მეტად მოხერხებულად გამოიყენეს. შედეგი აღარ შეცვლილა და თამაში დამთავრდა 1:1.

ტფილისელებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შავგულიძე, ასლამაზოვი და გაგუა.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 1 ივნისი, 1936 წ.